პროექტი

დადგენილება
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-23 მუხლის პირველი პუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულება დანართის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 აპრილის №34 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 19.04.2024, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.114.016516).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 14 აგვისტოდან.

პროექტი მოამზადა: თეა უჯმაჯურიძემ